

დანართი 35



ვამტკიცებ

შპს ორიენტის 2017 წლის 14 ივნისი

№ 01/36 ბრძანებით

დირექტორი:

რამაზ მაჭარაშვილი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შ.პ.ს „ორიენტი“



კბილის ტექნიკოსი
090251 (III საფეხური)

თბილისი 2017

I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კბილის ტექნიკოსი

II. პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კბილის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (1500 საათი), რომლის (60%) - 36 კრედიტი (900 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (40%) - 24 კრედიტი (600 საათი) - პრაქტიკას.

- პრაქტიკისა და თეორიული კომპონენტის თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან.
- ერთი კრედიტი არის 25 ასტრონომიული საათი;
- თეორიული სწავლება მიმდინარეობს 23 კვირის მანძილზე, რომლის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას 17 კვირის მანძილზე.
- კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მესამე საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

V. პროგრამის ხანგრძლივობა: 40 კვირა

VI. სწავლების ენა: ქართული

VII. პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

- კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა-საბაზო განათლება.
- კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ აპლიკანტებს, რომელთაც აქვთ მაღალი შეფასება ბიოლოგიაში.

VIII. სფეროს აღწერა - კბილის ტექნიკოსის საქმიანობა განეკუთვნება ჯანმრთელობისა და ესთეტიკის სფეროს. პროფესია ორიენტირებულია პიროვნებაზე, მის საჭიროებებსა და ინდივიდუალურ მოთხოვნებზე, აგრეთვე ექიმ სტომატოლოგთან კოორდინირებულ ქმედებაზე და მოიცავს: ექიმი სტომატოლოგის შეკვეთის ზუსტად შესრულებას; შესრულებული კონსტრუქციების ხარისხის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში - დახვეწას; ძერწვას, მოდელირებასა და პროთეზირებას.

IX. პროფესიული პროგრამის მიზანი – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კბილის ტექნიკოსის მომზადება შრომის ბაზრისათვის, რომელიც ფლობს კბილის ტექნიკოსისათვის საჭირო ბაზისურ თეორიულ ცოდნას და კლინიკურ უნარ-ჩვევებს, რის საფუძველზეც იგი წარმატებით შეასრულებს თავის პროფესიულ როლს, მისიას და ფუნქციებს; კბილის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული განათლების მიზანია შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს ადამიანის ზოგადი ანატომია და ფიზიოლოგია; ორთოპედიული სტომატოლოგია; ყბა-სახის ანატომია და ბიომექანიკა; ყბა-კბილთა სისტემის ანომალიები და დეფექტები; კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობა; მოსახსნელი, მოუხსნელი და კომბინირებული პროთეზები.

X. სწავლის შედეგი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცის ადამიანის ორგანიზმის აგებულება და ფიზიოლოგია. დაუფლებულია კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში გამოყენებულ თანამედროვე საანაბეჭდო, ასევე პროთეტიკულ მასალებს. იცნობს ძირითად ტექნიკურ და დამხმარე საშუალებებს.</p> <p>იცის კბილთა მწკრივის ნაწილობრივი და მთლიანი ადენტის წარმოქმნის მიზეზები, კლინიკური სურათი და მკურნალობის მეთოდები ნაწილობრივი და მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზებით.</p> <p>შესწავლილი აქვს საღებ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი ანომალიები, დეფექტები, დეფორმაციები, აგრეთვე მათი ამოცნობისა და რეაბილიტაციის საკითხები, ფიზიოლოგიური სარძევე თანკბილვა</p> <p>იცის ადამიანის პირის ღრუს შემადგენელი ორგანოების</p>
-------------------------------------	--	--

		<p>ანატომიური აგებულება და ფუნქცია, შესწავლილი აქვს ზედა და ქვედა ყბაზე კბილთა მწკრივები, შეუძლია კბილების გამოცნობა ჯგუფობრიობის მიხედვით, იცის თითოეული კბილის ანატომია და სტრუქტურული აგებულება. წარმოდგენა აქვს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ და ბიომექანიკურ პროცესებზე.</p> <p>იცის პროთეზირების სამკურნალო და პროფილაქტიკური დანიშნულება. პროთეზებისა და პროთეზირების სახეები. კბილის სატექნიკო ლაბორატორიის ინფრასტრუქტურა. ანაბეჭდი, მოდელი და მოდელირება.</p> <p>გაცნობიერებული აქვს აპარატურული, ანუ ორთოპედიული კონსტრუქციებით მათი (დეფექტები და დეფორმაციები) მკურნალობის აუცილებლობა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია საანაბეჭდო მასალის შესატყვისი მეთოდით მომზადება, ფანტომიდან ანაბეჭდის აღება, მიღებული ანაბეჭდიდან თაბაშირით მოდელის ჩამოსხმა;</p> <p>შეუძლია მოდელიდან საჭირო კბილების ამოჭრა, სპირტქურისა და სატექნიკო ფითხის დახმარებით კბილების ცვილით მოდელირება მათთვის სასურველი ფორმის მისაცემად; შეუძლია კბილის გვირგვინების დეფექტების აღდგენა მოდელირებით და ცვილის შეცვლა სათანადო ორთოპედიული ტექნოლოგიებით, ნახევარგვირგვინებით და მთლიანი გვირგვინებით. აღნიშნული პროცესისათვის იყენებს პლასტმასს, ფაიფურს, მეტალებსა და მათ კომბინაციებს;</p> <p>შეუძლია კბილების ნაწილობრივი ან მთლიანი დაკარგვის შემთხვევაში მოდელზე სიტუაციის შეფასება, სამუშაო გეგმის შემუშავება სათანადო მასალების შერჩევით და მოუხსნელი ხიდისებური, ნაწილობრივ ფირფიტოვანი ან მთლიანი ფირფიტოვანი ორთოპედიული პროთეზების დამზადება.</p>

		შეუძლია საკუთარი სამუშაო გეგმის შედგენა და მისი შეთანხმება გუნდის სხვა წევრების სამუსაო გეგმასთან.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი	შეუძლია სამუშაო მოდელზე სიტუაციის შეფასება და პროტეზის კონსტრუქციის შესაბამისი მასალის შერჩევა. შეუძლია თაბაშირის ან სხვა რომელიმე საანაბეჭდო მასალიდან მიღებული მასის საჭირო კონსისტენციის განსაზღვრა; შეუძლია პლასტმასების ტექნოლოგიური პროცესისათვის თვალყურის დევნება და დანადგარის ოპტიმალურ დროში, გამორთვა, გაციების რეჟიმის დაცვა; შეუძლია სამუშაო მოდელზე სიტუაციის შეფასება, დასკვნის გაკეთება, სხვადასხვა ვარიანტების განხილვა, საბოლოო გეგმის შერჩევა, მანიპულაციის ჩატარება; შეუძლია კბილების შეძენილი ან თანდაყოლილი დეფექტების შემთხვევაში გარკვეული დამოუკიდებლობით გააკეთოს დასკვნა და ცვილით მათი ფორმის აღსადგენად მიმართოს შესაბამის მეთოდს. ექიმის და კბილის ტექნიკოსის (მეოთხე და მეხუთე საფეხურის) შენიშვნის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია საკუთარი პოზიციის დაცვა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სამუშაოს შესასრულებლად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს შეუძლია აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულების, მასალის გამოყენების მარტივი მეთოდის, საანაბეჭდო მასალების შენახვის წესებისა და მსგავსი ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება;
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია დასახელებული წყაროს გამოყენება ინფორმაციის მოსაპოვებლად და სწავლისთვის; შეუძლია შემდგომი სწავლის დაგეგმვა; შეუძლია შეძენილი ცოდნით სწავლის

<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	<p>გაგრძელების უზრუნველყოფა. იცის გუნდის წევრებთან, კოლეგებთან, ხელმძღვანელებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობების ეთიკური ნორმები, იცავს ამ ნორმებს, კრიტიკულ სიტუაციაში მოქმედებს შესაბამისად; პასუხისმგებლობით ეკიდება ნებისმიერ დავალებას, განსხვავებულ სიტუაციებში არ კარგავს კეთილგანწყობას.</p>
----------------------------	--	---

XI. სწავლის შედეგების რუქა

№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსები	სწავლის შედეგები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	DT03-01	საინფორმაციო ტექნოლოგიები				X		
2	DT03-02	ინგლისური ენა				X		
3	DT03-03	შესავალი ორთოპედიულ სტომატოლოგიაში	X					
4	DT03-04	ყბა-სახის ანატომია და ბიომექანიკა	X					
5	DT03-05	ადამიანის ზოგადი ანატომია და ფიზიოლოგია	X					
6	DT03-06	კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობა	X		X			
7	DT03-07	მოსახსნელი პროთეზები	X					
8	DT03-08	მოუხსნელი პროთეზები	X					
9	DT03-09	ყბა-კბილთა სისტემის განვითარების ანომალიები და დეფორმაციები	X					
10	DT03-10	სასწავლო პრაქტიკა		X	X	X	X	X
11	DT03-11	საწარმოო პრაქტიკა		X	X	X	X	X

XII. სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსები/მოდულები/საგნები	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება									
				ლექცია	საკონტაქტო საათები							დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	სულ საათების რაოდენობა
					სამუშაო ჯგუფში მუშაობა	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა			
1	DT03-01	საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	11	13	-	-	2	3	29	21	50	
2	DT03-02	ინგლისური ენა	2	11	13	-	-	2	3	29	21	50	
3	DT03-03	შესავალი ორთოპედიულ სტომატოლოგიაში	4	24	26	-	-	2	3	55	45	100	
4	DT03-04	ყბა-სახის ანატომია და ბიომექანიკა	4	23	27	-	-	2	3	55	45	100	
5	DT03-05	ადამიანის ზოგადი ანატომია და ფიზიოლოგია	2	13	11	-	-	2	3	29	21	50	
6	DT03-06	კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობა	4	24	26	-	-	2	3	55	45	100	
7	DT03-07	მოსახსნელი პროთეზები	4	23	27	-	-	2	3	55	45	100	
8	DT03-08	მოუხსნელი პროთეზები	9	64	62	-	-	2	3	131	94	225	
9	DT03-09	ყბა-კბილთა სისტემის განვითარების ანომალიები და დეფორმაციები	5	39	37	-	-	2	3	81	44	125	

10	DT03-10	სასწავლო პრაქტიკა	19	-	-	467	-	4	4	475	0	475
11	DT03-11	საწარმოო პრაქტიკა	5	-	-	-	117	4	4	125	0	125
		სულ	60	232	242	467	117	26	35	1119	381	1500

XIII. პროგრამის განხორციელების სპეციფიკა

სასწავლო კურსები	კვირა/საათი																						
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
საინფორმაციო ტექნოლოგიები	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	4	4	4	4	4								
ინგლისური ენა	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	4	4	4	4	4								
ადამიანის ზოგადი ანატომია და ფიზიოლოგია	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	4	4	4	4	4								
ყბა-სახის ანატომია და ბიომექანიკა	11	11	11	7	7	7	7	7	7	7	6	6	6										
შესავალი ორთოპედიულ სტომატოლოგიაში	10	10	10	7	7	7	7	7	7	7	6	6	6	3									
კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობა	10	10	10	7	7	7	7	7	7	7	6	6	6	3									
ყბა-კბილთა სისტემის განვითარების ანომალიები														10	10	20	20	20	20	25			
მოსახსნელი პროთეზები				10	10	10	10	10	10	10	10	10	10										
მოუხსნელი პროთეზები															15	20	20	20	15	15	40	40	40
კვირეული დატვირთვა	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	28	37	40	40	40	35	40	40	40
სასწავლო კურსები	კვირა/საათი																						
	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40						
სასწავლო პრაქტიკა	36	36	36	36	36	36	37	37	37	37	37	37	37										
საწარმოო პრაქტიკა														30	30	30	35						
კვირეული დატვირთვა	36	36	36	36	36	36	37	37	37	37	37	37	37	30	30	30	35						

XIV. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- დამოუკიდებელ მუშაობას;
- სასწავლო, საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური, დასკვნითი) მომზადება/ჩაბარებას.

XV. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

შეფასების სისტემა უშვებს:

- ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას;
 - **(A)** ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - **(B)** ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - **(C)** კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - **(D)** დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - **(E)** საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- **(FX)** ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებას;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
- პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს: მინიმუმ ერთ შუალედურ გამოცდის შეფასებას, მიმდინარე შეფასებებს.
- პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას.

- პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭება თუ განსაზღვრული შეფასების კომპონენტების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.) დაჯამებით უტოლდება მინიმუმ 51 ქულას. შეფასების სისტემის კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი გადალახავს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს.
- პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%) მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.
- პრაქტიკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. პრაქტიკა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს განიმტკიცოს თეორიული კომპონენტით შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი პროფესიული სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პრაქტიკის ფარგლებში, ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია. პროგრამის ცალკეულ კომპონენტებში გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსში.

XVI. სწავლის მეთოდები

წინამდებარე პროგრამის ფაგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სწავლების მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, გამოკითხვა, დისკუსია, განხილვა, სიტუაციური ამოცანა, ასევე შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისათვის ადეკვატური სწავლების სხვა მეთოდები. სწავლების კონკრეტული მეთოდები განსავითარებელი სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილია შესაბამის სილაბუსში

XVII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:

კურსის დასახელება	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
საინფორმაციო ტექნოლოგიები	ეკა როჭიკაშვილი	საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი; ინჟინერის სტემო ტექნიკოსი
ინგლისური ენა	ეთერ კუპრეიშვილი	საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი
შესავალი ორთოპედიულ სტომატოლოგიაში	თამარ შალამბერიძე	ექიმ -სტომატოლოგი
ყბა-სახის ანატომია და ბიომექანიკა	თამარ ბერიშვილი	ექიმი-სტომატოლოგი
ადამიანის ზოგადი ანატომია და ფიზიოლოგია	ნანა ტალახაძე	ექიმი
კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობა	თამარ ბერიშვილი	ექიმი-სტომატოლოგი

მოსახსნელი პროთეზები	თამარ შლამბერიძე	ექიმ -სტომატოლოგი
მოუხსნელი პროთეზები	ლილი ფხიკიძე	ექიმ - სტომატოლოგი
ყბა-კბილთა სისტემის ანომალიები და დეფორმაციები	თამარ შლამბერიძე	ექიმ -სტომატოლოგი
სასწავლო პრაქტიკა	შოთა ბოკუჩავა	ორთოპედიული სტომატოლოგია
საწარმოო პრაქტიკა	ლილი ფხიკიძე	ექიმი-სტომატოლოგი

XVIII.ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

- წინამდებარე პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება შპს ორიენტირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული:
- კეთილმოწყობილი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სააუდიტორიო ფონდი, თვალსაჩინო მასალები;
 - ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კლასი;
 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (სილაბუსების) შესაბამისი ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა (წიგნადი, ელექტრონული) სახელმძღვანელოებით, პროფესიული ჟურნალებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით.
 - ზემოთ აღნიშნული სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოწყობილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით.
 - შპს ორიენტირს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია“-სთან ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „OpenBiblio“-ს გამართვაზე (ხელშეკრულება დაიდო 06.02.2012წ.-ში).
 - ყველა პროფესიული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია:
 - კომპიუტერული კლასი, ინტერნეტი;
 - ბიბლიოთეკა;
 - საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფა იქნება შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე:
 1. სტომატოლოგიური კლინიკა შპს „დენტა“.
 2. შპს „32 დენტი“

XIX. დასაქმების სფეროები – კბილის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში. კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია სწავლა გააგრძელოს კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურზე.

XIX. ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ:

სახელი, გვარი - თამარ შალამბერიძე

საკონტაქტო ინფორმაცია: 5 77 49 25 19

ელ-ფოსტა: ta.shalamberidze@mail.ru

XXI. სილაბუსები

ს ა რ ზ ე ვ ი

I პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება.....	2
II პროფესიული განათლების საფეხური.....	2
III მისანიჭებელი კვალიფიკაცია.....	2
IV პროგრამის მოცულობა.....	2
V პროგრამის ხანგრძლივობა.....	2
VI სწავლების ენა.....	2
VII პროგრამაზე მიღების წინაპირობა.....	2
VIII სფეროს აღწერა.....	3
IX პროფესიული პროგრამის მიზანი.....	3
X სწავლის შედეგი.....	3
XI სწავლის შედეგების რუქა.....	7
XII სასწავლო გეგმა.....	8
XIII პროგრამის განხორციელების სპეციფიკა.....	9
XIV პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა).....	10
XV პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება.....	10
XVI სწავლის მეთოდები.....	11
XVII ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.....	11
XVIII ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ.....	12
XIX დასაქმების სფერო.....	12
XX ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ.....	13
XXI სილაბუსები.....	13